

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №68
2020 წლის 15 დეკემბერი

ქ. თბილისი

ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 14.05.2021 წ.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, 23-ე მუხლისა და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

თანდართული სახით დამტკიცდეს:

ა) „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი №1);

ბ) „ელექტროენერჯის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი №2);

გ) „ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი №3);

დ) „ელექტროენერჯის წარმოების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი №4);

ე) „ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი №5);

ვ) „ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი №6);

ვ¹) „საბითუმო საჯარო მომსახურების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი 6¹);

ზ) „სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის ნორმები (დანართი №7).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 14.05.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 14 ივლისის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 15.07.2022 წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

დავით ნარმანია

გოჩა შონია

გიორგი ფანგანი

გიორგი ფრუიძე

